ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 198

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 198

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავ. ალექსანდრე ივანეს ძე და კნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილები** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასის შვილის, 2-რე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

## მიხეილისას

14 ამა სექტემბერს, სოფ. ხოვლეში.

დასაფლავება იქნება ხოვლეშივე შაბათს, 18 სექტემბერს.

(2—151—1)

**კნეინა ალექსანდრა არისტარქის ასული ვაჩნაძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 16 სექტემბერს, მისის განსვენებულის, დაუვიწყარისა და ძვირფასის მეუღლის

## თავ. ზაქარია (შაქრო) იოსების-ძის ვაჩნაძის

გარდაცვალების მე-9 დღეს, დილის 10 საათზედ, გარდახდილ იქმნება სულის მოსახსენებელი წირვა კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში და აგრეთვე პანაშვიდი განსვენებულის საფლავზედ.

(2—უ.—2)

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები.

(30—147—2)

ქ. ქუთაისში

## პიანისტკა

რ. მატროსოვიჩი,

რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.

**ადრესი:** ნემსაძის სახლი, სადგურის ინჟინერი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს).

(15—139—12)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**თ. ნ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

— დანიშნულ იქმნენ: ბათუმის ოლქის სამმართველოს საქმეთა მწარმოებელი, ნადვორნი სოვეტნიკი გოცირიძე სოხუმის ოლქის სამმართველოს

## ფელეტონი

### უტილიტარისტები და იმათი მოძღვრება

(დასასრული *)

მაშ როგორ უნდა ეშველოს ადამიანს? როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ასეთს დახლართულ გარემოებას? აი ამ კითხვების ახსნა-გამორკვევის დროს იწყება ორიგინალი, თითქმის მოულოდნელი მოძღვრება გობბესისა. ჩვენ ვთქვით „მოულოდნელიაო“, დიახ, პირველის შეხედულობით შემდეგი მოსაზრებანი გობბესისა მოულოდნელად, ლოგიკურ ნახტომად ეჩვენება კაცს, მაგრამ როცა დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ გობბესი ამ დასკვნამდის სწორე ლოგიკამ მიიყვანა... უსაზღვრო, აულაგმავი უფლება, ამ უფლებისათვის საყოველთაო ჩხუბი, ბრძოლა—ყოველივე ეს ამწვავებს სიცოცხლეს, შეუძლებლად ჰყოფს ბედნიერებას და აი, ამ უბედურებას რომ დავაღწიოთ თავი, საჭიროა შემოფარგვლა, შემცირება ამავე უფლებისა. ამას მოითხოვს ალღო თავის დაცვისა და ბედნიერების მიმართ მისწრაფება. ყველასათვის საჭიროა უზრუნველ ყოფილი ცხოვრება. ამისთვის საჭიროა: ა) ყველამ უარ-ჰყოს თავისი უფლება ყოველს საგანზედ და ამ უფლების ნაწილი სხვას დაუთმოს, ბ) შეეკრან ერთმანეთს ხელშეკრულობით, რომ იცხოვრონ ერთმანეთთან მშვიდობიანად, თანხმად. ასეთს მოსაზრებას გობბესი შემდეგის აფორიზმით აბოლოვებს: „არავის ვნება არ მოუტანო, ყველას რაც ერგება, ის მიეცი, სხვას იმას ნუ უზამ, რაც თითონ შენის თავისთვის არ გინდა. This is law of Gospel (ეს არის კანონი სახარებისაო)“, ამბობს გობბესი. დაცვა ხელშეკრულობისა ყველასათვის სავალდებულოა. ის, რასაც ხელ-შეკრულობით დაკავშირებულები, ესე იგი, რასაც საზოგადოება დაადგენს, ყველასათვის კანონია. საზოგადოებისაგან გამოცემული კანონი მუდმივი და უცვლელია, „ის, რასაც კანონი უარ-ჰყოფს, არასოდეს არ უნდა იქმნას ნება-დართული და ის, რასაც ის გვიბრძანებს, ნებას რთავს, არ უნდა იყოს აღკრძალული“. მართალია, გარემოება სცვლის ხასიათს ადამიანის მოქმედებისას: ის, რაც აუცილებელ საჭიროებად ითვლებოდა ერთ ხანაში, მეორეში, შესაძლოა, ფერი იცვალოს, ხასიათი თავის აუცილებლობისა დაჰკარგოს, მაგრამ ის, რაც ადამიანის ყოველს მოქმედებას სარჩულად უდევს, ე. ი. გონება, ყოველთვის უცვლელი რჩება. თუმცა ბუნებრივი კანონი (საზოგადოების დადგენილება) ყველასათვის სავალდებულოა თავის-და-თავად, მაგრამ რომ უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დამყარდეს მისი ვალდებულობა, საჭიროა უმაღლესი სანქცია, ესე იგი, ისეთი რამე, რომელსაც შეეძლოს კერძო ადამიანის ეგოიზმის ალაგმა, ვნებათა ღელვის დაყუჩება, საზოგადო ინტერესის დაცვა; ერთის სიტყვით, საჭიროა სახელმწიფო წეს-წყობილება, რომელსაც გობბესი „მომაკვდავს ღმერთს“, ანუ „დიდს ლევიაფანს“ უწოდებს. ეს ლევიაფანი ნთქავს კერძო კაცს მათის პირადის ინტერესებით, იგი ერთი დიდი მოძრავი ორგანიზმია, რომელიც იმ აზრით მოძრაობს, რომ ყოველი წევრი საზოგადოებისა ერთმანეთში დააკავშიროს, ერთმანეთს შეუხამოს. მთავრობანი და მოხელეები იმისთვის არიან, რომ წევრთა, ინდივიდთა ცხოვრება ისე დააწყონ, მიალაგ-მოალაგონ, რომ აუცილებლად იქმნას დაცული უვნებლობა როგორც ინდივიდიისა, ისე სახელმწიფო აგებულებისა. ინდივიდთა ასეთი ერთმანეთთან დაკავშირება, საზოგადოებრივ ფერხულში ჩაბმა იმათს ბუნებრივ მოთხოვნილებას, ბუნებრივს მისწრაფებას-კი არ შეადგენს; ეს მხოლოდ იმ მოსაზრებისა და ანგარიშის შედეგია, რომ სახელმწიფო წეს-წყობილებაში უფრო ადვილად დაიკმაყოფილებს კაცი ბუნებრივ ალღოს თავის დაცვისას.

ასე ლოღიკურად და თანდათანობით, გობბესის აზრით, ადამიანი მიდის ბუნებრივ—„status naturalis“—მდგომარეობიდგან (როდესაც ინდივიდი სცხოვრობს თავისს ეგოიზმის ბრძანების ქვეშ) „status civilis“-სამდის, როდესაც იმას თავზედ დაადგა მმართველი, საზოგადოებრივი ძალა... სახელმწიფო გაუნაწილებელი, უცვლელია; იგია მხოლოდ თავისუფალი, წევრნი იმ მხრივ არიან თავისუფალნი, რაც სახელმწიფოსაგან ნება-დართულია. სახელმწიფოს წარმომადგენელს უსაზღვრო უფლება უნდა ჰქონდეს; თითოეულმა წევრთაგანმა იმას უნდა დაუმორჩილოს თავისუფლება, იმას უნდა დაუქვემდებაროს ყოველი თავისი ძალა და ნიჭი (jus vinium et facultam). ის, რასაც სახელმწიფოს მეთაური დააკანონებს, ყველასათვის წმიდათა წმიდას უნდა შეადგენდეს. იგი უჩვენებს წევრთ, რა არის კეთილი და ბოროტი, რა არის ზნეობრივი და უზნეო. სარწმუნოებაშიაც ის არის სავალდებულო, რასაც სახელმწიფო მიუთითებს. თავისუფლება სინიდისისა, სარწმუნოებრივ რწმენისა არ არსებობს. აქედგან ერთი ნაბიჯი ღა რჩება იმ მოძღვრებამდე, რომელიც გობბესმა შემდეგ სიტყვებში გამოსთქვა: „მთელი ჩემი უფლება ის არის, რომ მთლად ჩემი ცხოვრება სახელმწიფოს ეკუთვნოდესო“.

ასეთია შესანიშნავი (შესანიშნავი თავისის ორიგინალობით) მოძღვრება გობბესისა, რომელიც დაიწყო აულაგმავის, უსაზღვრო ეგოიზმის ქადაგებით და ბოლოს ყოველისავე პირადის უფლებისა და სარგებლობის უარ ყოფით დამთავრდა. პირველ სტრიქონს გობბესის მოძღვრებისას ასე აწერია: „ყოველივე ადამიანისათვის, ადამიანი საგანია თავისის თავისა. სუყველაფერი მე, მე და კიდევ მე, სხვას არაფერი“. ბოლოს-კი სურათი იცვლება: „მე არაფერი, ჩემი უფლება უნდა ეკუთვნოდეს სხვას. პირადი ეგოიზმი სახელმწიფოს უნდა ემსხვერპლოს“...

გობბესის შემდეგ ინგლისში უტილიტარული თეორიის მიმდევრებად უნდა ჩაითვალნენ მანდევილი, ლოკკი, გელვეცი, იუმი, ბენტამი, პალეი, რომლებიც ცხოვრების საგნად პირადს, ეგოისტურ ბედნიერებას არ სთვლიან, არამედ ეროვნულ სარგებლობას, ბედნიერებას (გელვეცი); მოქმედების სარჩულად მარტო ეგოიზმს არა ჰსახავენ, არამედ სხვისათვის კეთილის სურვებას და სხვის თანაგრძნობას (დავით იუმი); მოქმედების უმთავრეს პირად სარგებლობას-კი არ ეძებენ, არამედ საერთო სარგებლობის მოპოება-განდიდებას (პალეი). სახელმწიფოს და მისის მეთაურის ძალა-კი არ უნდა ამოქმედებდეს ადამიანს, არამედ ღვთიური კანონი, ნება ღვთისა. (იგივე პალეი).

ამათ მოსდევს ჯონ-სტიუარტ მილი და სპენსერი. მილი უფრო აპატიოსნებს, ამაღლებს, აკეთილშო-

*) იხ. „ივერია“ № 198.

საქმეთა მწარმოებლად; სიღნაღის მაზრის სოფ. კონდარის გლეხი გიორგი ივანეს ძე აბაზაძე ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოსამსახურედ; საპატიო მოქალაქე კონსტანტინე ხუციძე—სახაზინო პალატის კანცელარიის მოსამსახურედ.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ მეთოთხმეტე გამოცემა დედა-ენისა. შინაარსის მხრით სახელმძღვანელო უცვლელად არის გამოცემული. მხოლოდ ხუცურ განყოფილებაში რამდენიმე ფსალმუნია ჩამატებული. შრიფტის მხრივ-კი დიდად განსხვავდება ეს გამოცემა წინანდელ გამოცემებსაგან. წინად ანბანი იბეჭდებოდა წვ ილის შრიფტით, სახელდობრ მეთექვსმეტე ნომრით, ეხლა-კი დაბეჭდილია ოცდამეოთხე ნომრით, რომელიც თვით წიგნის შემდგენელს გაუკეთებინებია ვენაში. პირველი ნახევარი საკითხავი წიგნისა დაბეჭდილია მეთოთხმეტე ნომრით და არა მეთერთმეტეთი, როგორც წინედ იყო. მეორე ნახევარი დაბეჭდილია მეთორმეტე ნომრით. სასულიერო განყოფილება დაბეჭდილია აგრეთვე მეთორმეტე ნომრით აკადემიურის შრიფტისა. ეს გამოცემა გადიდებულია თექვსმეტი გვერდით. ღირს წიგნი იმავე ფასად—ორ აბაზად. წიგნი ჩასმულია მშვენიერს და სუფთა ყდაში.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის ნებართვით ქალაქის გამგეობა ამ შემოდგომაზედ გაჰმართავს საჯარო ვაჭრობის დარბაზს, რომელიც ეხლა კერძო, ნაქირავებ შენობაში იმყოფება და იქვე მოაწყობს საწყობს გასაყიდ მოძრავ ქონების შესანახად.

*** დღეს, 16 სექტემბერს, დანიშნულია ქალაქის სასწავლებელთა კომისიის სხდომა იმ თხოვნების განსახილველად, რომელნიც წარდგენილ იქმნა ქალაქის გამგეობაში საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ.

*** ამ დღეებში მოხდება ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს სასწავლებლისათვის შენობის დაქირავებისა და დირექტორის კანდიდატის არჩევის საქმეს იმ აზრით, რომ სასწავლებელი 1900 წლის 1-ლ იანვრიდგან დაარსდეს.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ქალაქის ტეხნიკოსად ნამყოფის დვალიშვილის საქმე, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული, მუხრან-ბატონის ქუჩაზედ წყლის მილის შეკეთების დროს გაუფრთხილებლად მოქცევისა გამო, გარდაეცეს განსახილველად ქალაქის საბჭოს.

*** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ, რომ ჯარის-კაცნი ყანებში სამუშაოდ გაიწვიონ სამსახურისაგან თავისუფალ დროს, რადგან ამ ბოლო წლებში ჯარის-კაცთა უმრავლესობა, სავალდებულო სამსახურის ვადის გათავების შემდეგ, ხელს აღარ ჰკიდებენ მიწის მუშაობას და სხვაგან ეძებენ სამუშაოს, რაც ძალიან ცუდად ჰმოქმედებს გლეხთა ოჯახების მდგომარეობაზედ.

*** ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების იმ განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც შუამდგომლობის შემუშავება აქვს მინდობილი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ, მუშაობა დაამთავრაო. ეს ამბავი სამწუხაროდ სიმართლეს მოკლებული ყოფილა: ხსენებულ კომისიას, „ახ. მიმ.“ სიტყვით, ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მუშაობა.

*** საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ რადგან ზაფხულობით პირველ-დაწყებითის სკოლების მასწავლებლები სრულიად თავისუფალნი არიან, ამის გამო მათ სხვაგან წასვლის უფლება უთხოვნელად უნდა მიეცეთ, მაგრამ წასვლის დროს-კი ისინი ვალდებულნი არიან სათანადო მთავრობას უწყება წარუდგინონ, რომლისთვისაც გერბის ფული არ გარდახდებათო.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ტ. ს. ი. ს. მედვედევი, გუშინ, 15 სექტემბერს, ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა მიწადმოქმედების სამინისტროს ადგილობრივ დაწესებულებათა დასათვალიერებლად. 20 სექტემბრისათვის ი. ს. მედვედევიწავა ბათუმში მიწად-მოქმედების მინისტრის მისაგებებლად.

*** სასულიერო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ის ფული, რომელიც ხაზინიდგან ეძლევათ სასყიდლად სამრევლო სკოლების მასწავლებელთ წლიურის შრომისათვის, ეგზავნებოდეთ საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს განყოფილებათაგან სკოლების მმართველთ და ეძლეოდეთ მასწავლებელთ უთუოდ თვიურად. რაც შეეხება ადგილობრივს ფულს, მისი განაწილება მინდობილი აქვთ სკოლის მმართველთ.

*** იმავე მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებმა, სამრევლო სკოლებში სწავლის გასაგრძობად მასწავლებელთაგან სამსახურის თავის დანებებისა ანუ ავად გახდომის დროს იყოლიონ თითოეულ მაზრაში არა ნაკლებ ორის სათადარიგო მასწავლებლისა თანაშემწეებად დიდ სკოლებში და დაუნიშნონ მათ მცირეოდენი სასყიდელი სასწავლებელთა საბჭოების ადგილობრივ განყოფილებათა ფულიდგან.

*** ტფილისის მიხეილის რკინის გზის სასწავლებელში 110 მოსწავლეთაგან, რომელთაც ეგზამენი მოიხადეს სასწავლებელში შესასვლელად, მიღებულ იქმნა უადგილობის გამო მხოლოდ 40.

*** სენატმა უკან დაუბრუნა ტფილისის მოქალაქეთ მათი საჩივარი ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს იმ დადგენილებაზედ, რომელიც ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის უწეს-რიგოდ მოწყობას შეეხება. საჩივარი უკან დაუბრუნდა მომჩივანთ იმის გამო, რომ მათ არ შეუსრულებიათ სენატის მიმართ საჩივრის წარდგენის წეს-რიგი.

*** 7 სექტემბერს დუშეთის ქალაქის რწმუნებულთა კრებამ მოახდინა ქალაქის მამასახლისის არჩევნები გარდაცვალებულის კობიაშვილის ადგილზედ. კენჭი იყარა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა, ქალაქის მამასახლისის ახლანდელმა თანაშემწემ მ. ი. ტერტეროვმა, რომელიც კიდეც არჩეულ იქმნა 7 ხმის უმეტესობით 1-ის წინაალმდეგ. არჩევნების ოქმი უკვე წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, განზრახვა აქვთ, რომ ღვინის მომზადება ნება დართულ იქმნას მხოლოდ განსაკუთრებულ ქარხნებში, რომლებზედაც მუდმივი ზედამხედველობა უნდა იქონიონ სააქციზო უწყების წარმომადგენელთ, იმის განურჩევლად, თუ სად იმყოფება ეს ქარხნები.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას ზედამხედველობა აბრეშუმის თესლის წარმოებასა და ვაჭრობაზედ და აგრეთვე მისის გასატან ბაჟის აკრეფაზედ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ფული მიეცეს საზოგადოებას კავკასიის სასოფლო მეურნეობის შესახებ წიგნების გამოსაცემად.

*** აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი გაემგზავრა თელავისა და სიღნაღის მაზრებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვაზის სამკურნალო საშუალებათა და სამეურნეო იარაღთა საწყობების დასათვალიერებლად.

*** წელს მთელს იმპერიაში უნდა გაწვეულ იქმნას ჯარის-კაცად ორ მილიონ ცხრაას ერთი ათასი კაცი. მათ შორის ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქიდგან უნდა წაყვანილ იქმნას ჯარში ორი ათას სამას სამოცდა თექვსმეტი კაცი. ეს რიცხვი ტფილისის სამხედრო ბეგარის საგუბერნიო საკრებულომ შემდეგის სახით გაანაწილა სამხედრო ბეგარის განყოფილებათა შორის: ტფილისის განყოფილებიდგან უნდა წაყვანილ იქმნას ჯარის-კაცად 196 კაცი; ტფილისის მაზრის პირველ განყოფილებიდგან 44, მეორიდგან 42, მესამედგან 63; ახალქალაქის პირველ განყოფილებიდგან 105, მეორედგან 89; ახალციხის პირველ განყოფილებიდგან 50, მეორედგან 40; ბორჩალოს მაზრის პირველ განყოფილებიდგან 141, მეორედგან 124, მესამედგან 155, მეოთხედგან 117; დუშეთის მაზრის პირველ განყოფი-

---

ბილებს უტილიტარულ თეორიას; იმას ადამიანის მოქმედების საგანი პირად სარგებლობიდგან საერთო, საზოგადო ბედნიერებამდის გადმოაქვს. თავისს თხზულებაში „უტილიტარიზმი“ მილი იცავს უტილიტარულ თეორიას, საბუთებს ასახელებს, ჰხსნის, თუ როგორ უნდა გვესმოდეს თვით ამ თეორიის მოძღვრება, რა არის საჭირო, რომ მიუდგომლად გავარჩიოთ მისნი დედა აზრნი და სხვანი. თავისს აპოლოგიაში ის იძულებულ იყო პასუხი მიეცა მოწინააღმდეგებისათვის, გაემართლებინა უტილიტარული მოძღვრება იმ ბრალდებულობისაგან, რომელსაც სდებდნენ მოწინააღმდეგენი. მოწინააღმდეგენი კი რას ამბობდნენ: უტილიტარული მოძღვრება მტერია ყოველისავე მშვენიერისა და ესტეტიკურისა, ე. ი. ის თავისის სარგებლობის დედა-აზრით სდევნის ცხოვრებიდგან ყოველსავე მშვენიერსა და ამაღლებულს; ეს თეორია ღირსი არ არის იმისი, რომ ადამიანმა თავისი მოქმედება და ცხოვრება იმის მოძღვრებას დაუმორჩილოს, იმიტომ-რომ იგი მას ასწავლის მხოლოდ პირად, მდაბალ და უზნეობო სიამოვნების ძებნას; უტილიტარიზმი ფილოსოფიაა აღვირ-ახსნილ ეგოიზმისა, რადგან ასწავლის მხოლოდ პირად ინტერესების, მარტო პირად ბედნიერების ძიებასაო. იგი აქრობს ადამიანთა შორის გრძნობიერებას, კერძოდ—თანაგრძნობას. იგი აიძულებს ადამიანს გულ-ცივად მიეგებოს თავისის თანამოძმის ტანჯვა-წვალებას, უბედურებას და უშლის ხელი გაუწოდოს მას საშველად, გაჭირვების შესამსუბუქებლად. ეს თეორია უღმრთო მოძღვრებას ქადაგებს. იმისთვის სულ ერთია აბოგინებს უმაღლესი არსება თუ არა. დასასრულ, უტილიტარიზმი ეტანება შეუძლებელს, განუხორციელებელს, ე. ი. იმას, რომ ადამიანის მოქმედების ჩადენამდე უნდა გაითვალისწინოს ყოველი მისი შედეგიო.

მილი-კი თავის მხრივ სცდილობს დაიცვას უტილიტარიზმი, მისნი დედა-აზრნი. მაგრამ ამ დაცვის დროსაც ის ისეთის ზნეობრივი დედა-აზრების მიმდევრად იჩენს თავს, რომლებიც ძალიან მოგვაგონებს ქრისტიანობრივ სწავლის ზნეობრივ მოძღვრებას. მილი გონება-ზნეობით იმდენად განათლებული კაცი იყო, რომ არ შეეძლო გამოსარჩლებოდა ისეთს უტილიტარიზს, რომელსაც ჰქადაგებდნენ. მაგალითებრ, სოფისტები, გობბესი და სხვანი. იმას კარგად ესმოდა, რომ ეპიკურეიზმი (იმ შინაარსით, რა შინაარსითაც ეს სიტყვა ახლა იხმარება), ეგოისტური ანგარიში, ყოველის სურვილის განურჩევლად დაკმაყოფილება არ შეადგენდა ადამიანის ცხოვრების საგანს; ესენი არ უნდა გამხდარიყო ადამიანის მოქმედების ხელმძღვანელად. ამისათვის იგი თუმცა ცხოვრების საგნად ბედნიერებას ჰსახავს, ბედნიერებას, რომელიც უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, იმაში განხორციელდეს, მაგრამ ეს სიამოვნება წმინდა უნდა იყოს, სულიერი. „არიან ისეთი ადამიანებიო, ამბობს მილი, რომლებიც კმაყოფილდებიან მარტო პირუტყვულ სიამოვნებით, დროს გატარებით; არიან ისეთნიც, რომლებიც იმავე ბედნიერებისათვის მზად არიან აიტანონ ტანჯვა-წვალება და სრულიად არ ეხარბებათ ის პირუტყვული, უზნეო ცხოვრება, რომლითაც პირველნი სცხოვრობენ... ადამიანის ბუნებაში არის ისეთი რაღაცა, განაგრძობს მილი,—რაც აიძულებს მსხვერპლად შესწიროს ამ „რაღაცას“ თავისი სიამოვნება; აძლევს ძალას ცხოვრების უკუღმართობა აიტანოს, სხვის უსრულობა დედა-აზრობას შეურიგდეს; არამც თუ არ შეშურდეს მას სხვისი სიამოვნება, პირ იქით, თვისი პირადი უსიამოვნება ბედნიერებად მიითვალოს. ეს „რაღაცა“ აიძულებს ადამიანს უბედ-იღბლო, უკმაყოფილო, ადამიანის მდგომარეობა ამჯობინოს გამაძღარ ღორის ბედნიერებას; იმისთვის უფრო სასიქადულოა უკმაყოფილო სოკრატად ყოფნა, ვიდრე კმაყოფილი ჩიტი რეკიად, ჭკუაზედ მწყრალ არსებად.

მერე რა არის ან რითი გამოიხატება ეს „რაღაცა“, რომელიც ალაგმავს ადამიანის ეგოიზმს, ასუსტებს იმისს სიამოვნების მიმართს უზომო მისწრაფებას? გრძნობა კაცურის ღირსებისა, რომელიც ყველასა აქვს, თუმცა სხვა-და-სხვა ადამიანს ეს გრძნობა მეტ-ნაკლების სიძლიერით მოეპოვება. პირველ შეხედვით ამ გრძნობის მოთხოვნილებანი ეწინააღმდეგებიან კაცის პირად სარგებლობას, მაგრამ თუ დავუკვირდითო, ამბობს მილი, აქ არაფერი წინააღმდეგობა არ არისო. თვით გრძნობა თავის თავის ღირსებისა შეადგენს წყაროს ადამიანის ბედნიერებისას. ამ ბედნიერებას სხვა უფრო მდაბალი, ხორციელი სიამოვნება არ შეედრება. როდესაც ამბობენ, რომ ვითომ გრძნობა კაცურის ღირსებისა ეწინააღმდეგება პირად ბედნიერებასო, ცხადია, ერთმანეთში ურევენ ორ სხვა და სხვა შემეცნებას: ბედნიერებასა და სიამოვნებას. „უკმაყოფილება განვითარებულ ადამიანისა ხშირად არამც თუ ურიგდება იმისს პირადს ბედნიერებას, არამედ აუცილებელ პირობას შეადგენს ამ ბედნიერებისას. თუ კი საზოგადო ბედნიერებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უკმაყოფილება უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის პროგრესსის ერთ უმთავრესს წყაროდ, რომელიც ზნეობრივ განვითარებასაც შესამჩნევად ხელს უწყობს“.

როგორც ვხედავთ, მილი არჩევს ერთმანეთისაგან სხვა და სხვა გვარ სიამოვნებას: ზოგიერთს მათგანს ადამიანის ღირსების დამამცირებლადა სთვლის; ზოგიერთს-კი ცხოვრებაში აძლევს ადგილს. ყოველგვარ უსიამოვნებას, უკმაყოფილებას არ უნდა გაურბოდეს ადამიანი. ზოგიერთი მათგანი შეუდარებლად მაღლა სდგას დაბალ ხარისხოვან კმაყოფილება სიამოვნებაზედ. უკმაყოფილება, ე. ი. უკმაყოფილება აწმყოთი და სურვილი უფრო კარგის მომავლისა ხელს უწყობს წინ-სვლას, წარმატებას, პროგრესს...

მილის აზრით, ადამიანს მისწრაფებას ბედნიერებისაკენ სრულიად არ ეწინააღმდეგება სათნოება, მისკენ მისწრაფება. პირ იქით, თვით სათნოება ხშირად ხდება ბედნიერების წყაროდ. ადამიანს უყვარს სათნოება, ჰსურს მისი სამსახური. სადაც სიყვარული და ნდობაა, იქ ბედნიერებაცაა. როგორც ქაღალდის თამაში, ღვინის სმა, ფულის შეძენა, დიდების სურვილი იზიდავს ადამიანს, ასევე სათნოებაც იტაცებს, აღაფრთოვანებს და აგრძნობინებს არაქვეყნიურ სიამოვნებას. გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ სათნოების სიყვარული ამაღლებს, უცისკროვნებს, უსპეტაკებს გრძნობა-გონებას, საზოგადოების მარგებელ წევრად ჰქმნის; ფულის სიყვარული, დიდებისაკენ მისწრაფება-კი ხშირად ჰრყვნის, საზოგადოების მავნებელ წევრად ჰქმნის. მილი იძულებული იყო აეხსნა, განემარტნა ის, თუ როგორ უნდა გადავიდეს ადამიანის პირადად ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიდგან 88, მეორედგან 83, მე!ა-მედგან 69; სიღნაღის მაზრის და ზაქათალის მაზრის პირველ განყოფილებიდგან 37, მეორედგან 87, მესამედგან 105, მეოთხ დგან 101; თელავის მაზრის პირველ განყოფილებიდგან 68, მეორედგან 79, მესამედგან 58 და თიონეთის მაზრის განყოფილებიდგან 76.

*** გუშინდელს თავისს კრებაზედ ქალაქის აღმასრულებელმა სასანიტარო კომისიამ, განიხილა-რა მოხსენება ექიმის ლუნკევიჩისა შავი ჭირის საწინააღმდეგო ხავკინის ჩირქისა და იერსენის შედედებულ სისხლის შესახებ, დაადგინა შეეკითხოს ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტს—ამ უკანკვნელის მიერ დამზადებულ რამდენის ჩირქის იმედი უნდა ჰქონდეს ტფილისს, თუ საჭიროებამ მოითხოვაო.

*** გუშინ, 15 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებას დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი ტროტუარების შეკეთებისა ღ გაკეთების შესახებ ყველგან, ტფილისში. ამასთანავე ბ-ნი მოურავი აგონებს განყოფილებას, რომ, არსებულ სავალდებულო დადგენილების ძალით, ხსენებული ტროტუარები მემამულეთა ხარჯით უნდა გაკეთდესო.

*** თელავი. 8 ენკენისთვეს ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, მწირველი ბრძანდებოდა თავისს საწინამძღვრო მონასტერში შუამთას, რომლის დღეობაც იყო ამ რიცხვს. ხალხი ჩვეულობრივად დაე!წრო. გალობდა მოყვარულთა გუნდი, შემდგარი სამი კაცისაგან.

წელს შუამთის ტაძარი უფრო გამშვენებული ვნახეთ, ვიდრე კვლავ გვინახავს; ახლად დაკებული მოზაიკის იატაკი, დარჩომილი მხატვრობის გაწმენდა და ზოგიერთი სურათების მთლად გამოჩენა და სხ. სასიამოვნო სანახავსა ჰხდის შუამთის ტაძარსა.

*** ს. ბერშუეთი, (გორის მაზრა). წელს ჩვენს სოფელში ყვავილი გაჩნდა, რომელსას ხალხი „ბატონ ყვავილებს" ეძახის. ამ სენმა ძლიერ დიდი ზიანი მოიტანა და მოაქვს, რასაც შესამჩნევად ხელს უწყობს ხალხის ცრუ-მორწმუნეობა და ყალბი წარმოდგენა ხსენებულ სენის თვისებაზედ. მომეტებულად ბავშვებე გაავლო მუსრი ყვავილმა, თუმცა არც დიდებს აკლებს ხელს.

*** ს. მეტეხი, (ქართლი). 28 აგვისტოს აქ მოვიდნენ პოლიციის ბოქაული ბ-ნი ბაბალოვი და მომრიგებელი მოსამართლე თავ. გიორგი თარხან-მოურავი და გლეხთა საზოგადოებას ურჩიეს, რომ ახალქალაქსა და მის გარეშემო სოფლებთან ერთად მეტეხელებსაც ეხადნათ წლიურად კომლზე თითო მანეთი და საკუთარი ექიმი დაექირავნათ. გარდა ამ გარდასახადისა, ექიმი თუ ვისმეს დასჭირდებოდა სახლში წასაყვანად, ავადმყოფის პატრონს უნდა ეძლია თითო ნახვის ქირად სამი აბაზი. პირველში ძალიან დაუმძიმდათ და დიდი უარიც გამოაცხადეს გლეხებმა, მაგრამ თავ. თარხნიშვილის და ბ-ნ ბაბალოვის ხელ მეორედ რჩევა-დარიგების შემდეგ ხალხმა მოაწერა ოქმზედ ხელი: გლეხებმა თითო მანეთზედ და თავად-აზნაურობამ ორ-ორ მანეთზედ. ავადმყოფის სანახავად სახლში წაყვანის ქირად უნდა მიეცეს თითო ნახვაზედ სამი აბაზი. მეტეხის გარეშემო სოფლები ჯერ უარზედ არიან და არავინ იცის, ეს ყველასათვის სასარგებლო საქმე შესრულდება თუ არა.

# რუსეთი

—

გამოქვეყნებულ იქმნა სოფლის საზოგადოებათა სანადელო მიწებზედ გარდასახადის აკრების წეს-რიგი.

— ამ მოკლე ხანში პეტერბურგში დაარსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება დააზღვევოს მოპარვისაგან ოთახის ნივთები.

— პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ საგუბერნიო ერობის გამგეობის ერთს მოსამსახურე კაცს 9 სექტემბერს დილით მტრედი დაუჭერია, რომელსაც ფეხზედ რაღაც ნივთი ჰქონია მიბმულიო. ეს ნივთი აღმოჩნდა ბარათი, რომელშიაც ფრანგულად ნაამბობია ცნობილის შვეციელ მოგზაურის ანდრეს ბედ-იღბალიო. („კურ.").

— „ნოვ."-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო აკადემიკოსს თავ. თარხან მოურავს წაიკითხოს 10 საჯარო ლექცია ბიოლოგიიდგან.

— „პეტ. უწყ."-ის სიტყვით, ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორმა გამოუცხადა დროებით შეჩერებულ გაზეთების რედაქციებს, რომ თუ გაზეთის აკრძალვის ვადის გასვლამდე მათ ანუ მათმა თანამშრომლებმა გაზეთის მაგიერად ეგრედ წოდებული „მფრინავი ფურცლები" გამოსცეს, მაშინ გაზეთის შეჩერების ვადა ჩაითვლება არა გაზეთის შეჩერების დღიდგან, არამედ უკანასკნელი ასეთის ფურცლის გამოსვლის დღიდგანაო.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** მთავრობა ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა სენატის პირველი დღის სხდომით. ის შიში, რომ სენატის უმრავლესობა შეიძლება არ დასთანხმდეს, რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულნი უმაღლეს სასამართლოს გარდაეცნენ განსამართლებლად და ამის გამო სამინისტრო კრიზისი მოხდესო, არ გამართლდა. სენატორის ბერანჟეს მოხერხებულმა სიტყვიერმა კრიზისი აშორა საფრანგეთს. მელინი და მისი მეგობრები დამარცხდნენ, რომელნიც მოწადინებულნი იყვნენ პარლამენტი კანიკულების გასვლამდე შეკრებილიყო.

როგორც ქადაგებიდგანა სჩანს, ორლეანის ჰერცოგს სხვებზედ მეტი მონაწილეობა მიუღია შეთქმულობაში, რაიცა გამამტყუნებელს ოქმშიაც არის მოხსენებული. თუმცა ჰერცოგი განდევნილია საფრანგეთიდგან, როგორც ტახტის მაძიებელი, მაგრამ რადიკალური გაზეთები მაინც თხოულობენ პასუხის გებაში მიეცეს ის.

როგორც ჰფიქრობენ, სენატის კომისია არ მისცემს პასუხის გებაში ტიებოს, რომელიც ბელგიაში გაიქცა ამას წინად. გამამტყუნებელს ოქმში, სხვა საბუთებს შორის, დაწვრილებით უოფილა აღწერილი, როგორ მეცადინეობდნენ მონარქიელები მუშათა შორის უწესოება გამოეწვიათ. ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, ბრალდებულთ რიცხვს კიდევ ერთს კაცს მიუმატებენ, რომელიც სენატის წევრად ითვლება, ე. ი. თითონ უმაღლესი სასამართლოისა. ორს ქალს ას-ასი ათასი ფრანკი შეუწირავს შეთქმულობის, ე. ი. ორლეანისტების საქმის სასარგებლოდ. ესენი არიან: ერთი—ქ-ნი პორჟე (როტშილდის ასული) და მეორე—ქ-ნი ადესგალდი.

— ორლეანის ჰერცოგი ამ ჟამად ვენგრიაში ყოფილა, საიდგანაც, გაზეთების სიტყვით, ახალ მანიფესტის გაგზავნას აპირებს თურმე საფრანგეთში.

—

**ავსტრია.** ჩეხელების წარმომადგენლებს ვენის პარლამენტსა და საოლქო სეიმებში ავსტრიის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ კრება ჰქონიათ. ისინი აცხადებენ, რომ წინანდებურად დაიცავენ ჩეხების პოლიტიკურსა და ეროვნულს პროგრამას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩეხიაში უფლებათა თანასწორობა სუფევდესო. წარმომადგენლები მზად არიან ხელი შეუწყონ კრიზისის მოსპობას სახელმწიფოში, მაგრამ ისე-კი, რომ ჩეხელების უფლებას ამით არა დააკლდეს-რა. კრიზისის მოსასპობლად შემდეგი საშუალებანია ჩამოთვლილი: შედგენა საპარლამენტო კანონებისა, რომელიც ავტონომიურ უმრავლესობაზედ უნდა იყოს დამყარებული; კონსტიტუციონურ უფლებათა აღდგენა ისე, რომ ყველას ეროვნული და მოქალაქობრივი უფლება დაცულ იქმნას; გაფართოება ადგილობრივ თვით-მართველობათა უფლებებისა, მართვა-გამგეობასა და კანონმდებლობაში და სხ. ჩეხელების წარმომადგენლები ბოლოს დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ, რომ უკანონო მოთხოვნილება პარლამენტის ობსტრუქციონისტებისა ცოტათიც არის დაკმაყოფილებულ იქმნას, რადგან ეს მთავრობის ავტორიტეტს დაამცირებსო.

# თეატრის მატიანე

სამშაბათს, 14 სექტემბერს, სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა ნემანცების ბაღში. წარმოადგინეს ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა" გ. გუნიასი. ამ ჟამად წარმოდგენის ნაკლულევანებანი ღირსების დაწვრილებით განხილვას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ წარმოდგენამ საძაგლად ჩაიარა. ყველა არტისტის სცენაზედ გამოსვლა სიცილსა და ხარხარის მეტს არაფერს იწვევდა, ულაზათოდ ამბობდნენ თავიანთ სათქმელს, დადიოდნენ სცენაზედ და იქნევდნენ ხელებს. არავითარი მომზადება ამ ვითომ-და სცენის მოყვა-

ნიერის სურვილიდგან საზოგადო ბედნიერების მოწადინებამდე. შესაძლოა თუ არა ასეთი გადასვლა? და თუ შესაძლოა, რა უნდა გაედოს მათ შუა ხიდად? აი კითხვები, რომლებზედაც მილმა პასუხი გასცა და, მართლა რომ ვსთქვათ, მილის ზნეობრივ მოძღვრების უმთავრესი ღირსებაც ამ კითხვების ახსნა-განმარტებაშია.

ადამიანის ბუნებას რომ დავუკვირდეთო, ამბობს მილი, ვნახავთ, რომ თანდაყოლილი აქვს ერთი მძლავრი, ბუნებრივი თვისება, რომელიც პირად ბედნიერების სურვილიდგან საზოგადო ბედნიერების სურვილზედ გადასვლას უადვილებს. რა თვისებაა ეს? გრძნობა ურთიერთობისა, ერთმანეთთან თანხმობისა, რომელიც ყველა ინდივიდუუმს თან დაყოლილი აქვს და რომელიც ბუნებრივს გრძნობას შეადგენს. „საზოგადოებაში ცხოვრება ისეთი ბუნებრივი-უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ადამიანისათვის, ამბობს მილი თავის „უტილიტარიზმში", რომ მხოლოდ ზოგიერთ არა-ჩვეულებრივ გარემოებათა ზედგავლენით შეუძლიან ადამიანს წარმოიდგინოს თავისი თავი სხვა ვინმედ და არა საზოგადოების წევრად, და ეს ურთი-ერთიანობა, ერთმანეთთან თანხმობა თან და თან იმდენად ჰმატულობს, რამდენადაც ადამიანი ვითარდება და შორდება თავის პირველ ყოფილ ველურ მდგომარეობას"... მაგრამ რა პირობით შეიძლება ასეთი ურთი-ერთობა, ერთმანეთთან თანხმობა? იმ პირობით, რომ უფლება ყველასი გათანასწორდეს, ყველა პატივს სცემდეს სხვის უფლებას. ამისათვის საჭიროა საერთოდ, ხელის ხელ გაყრილი შრომა, მოქმედება, საჭიროა ურთიერთი კოოპერაცია, რომელიც აჩვევს ადამიანს თავისუფლების პატივის ცემას და იმ აზრს უნერგავს, რომ სხვისი ბედნიერებისაკენ მისწრაფება ისეთივე კანონიერია, როგორიც ჩვენი.

„ადამიანი თითქოს ინსტიქტიურად აღწევს იმასაო, ამბობს მილი, რომ თავის თავს ისეთ არსებადა ჰგრძნობს, რომელიც ბუნებრივად უნდა იღებდეს მონაწილეობას თავის მოძმეების ინტერესებში, და ეს მოთხოვნილება თანამოძმეების ინტერესებში მონაწილეობის მიღებისა ბოლოს ისეთი აუცილებელ და ბუნებრივ მოთხოვნილებად გარდაექცევა ხოლმე, როგორც ფიზიკური მოთხოვნილებანი." რამდენადაც კაცობრიობა წინ წაიწევს გონებრივად, დაუკვირდება აწმყოსა და წარსულს, იმდენად გრძნობა ურთი-ერთობისა იმატებს, გაიზრდება, იმდენად შეუძლებელი გახდება მარტო პირადის სარგებლობის ძებნა, რადგანაც ყოველს სარგებლობა-ბედნიერების ძებნას საზოგადო სარჩული ექმნება. როგორც ვხედავთ, მილი დიდს მნიშვნელობას აძლევს ადამიანთა ცხოვრებაში გრძნობას ურთი ერთობისას და მის ძალას ძალიან იდეალურად ჰხატავს. ცხოვრება-კი სულ სხვას ეუბნებოდა მილს. ყური რომ არ მოეყრუებინა და ძალად თვალები არ დაეხუჭა, დაინახავდა, რომ ადაიანი თავდა პირველად პირად ინტერესებს ეძებს, პირად ბედნიერებას ეტანება, რომ მისს დევიზს შეადგენს ანდაზა „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოო". მილი, რასაკვირველია, ამას ჰხედავდა და მხოლოდ იმ აზრით ინუგეშებდა თავს, რომ ჩვენ ახლა ჯერ კიდევ „ცივილიზაციის ადრეულ ხანამდე ვცხოვრობთ, როდესაც კაცობრიობას ვერ შეუთვისებია, ვერ გაუგია ის, თუ რა სარგებლის და კეთილის ნაყოფის გამომღებია ურთი-ერთობა, ერთმანეთთან თანხმობა... ეს გრძნობა ყველა ადამიანსა აქვს. იგი არ არის ჩანერგული ხელოვნურის სწავლა-აღზრდით: გრძნობა ურთიერთობისა ბუნებით თანდაყოლილი აქვს კაცს და ადამიანის სულიერ აგებულების განუშორებელ და წაურთმეველ თვისებას შეადგენს. და აი ეს გარემოება, რომელიც მილის აზრით, თან-და-თან იზრდება, იფურჩქნება და ღონიერდება, უნდა ჩაითვალოს უტილიტარულ ზნეობრივ მოძღვრების საძირკვლად, რომელზედაც შენდება როგორც ზნეობრივი გრძნობა, ან გრძნობა მოვალეობისა, აგრეთვე პირადი სინიდისი. ეს ბუნებრივი საძირკველი რომ არა ჰქონოდა ადამიანს, ზნეობრივი გრძნობაც არ ექნებოდა, ხელოვნურ აღზრდით ჩანერგული ზნეობრივი გრძნობა (თუ-კი ასეთი ჩანერგვა შესაძლებელია) იმ წამსვე გაჰქრებოდა, რა წამსაც დაუწყებდით ანალიზსა და კრიტიკას. და თუ ზნეობრივი გრძნობა კაცს არ უქრება, მაშ ამ გრძნობას მის გულში უნდა ქონდეს ბუნებრივი ნიადაგი, რომელიც ხელს უწყობს მისს ზრდასა და განვითარებას.

ამითი ვათავებთ ზოგიერთ უტილიტარისტებისა და მათის მოძღვრების შესახებ ლაპარაკს. ჩვენ სახეში გვქონდა გაგვეცნო მკითხველისათვის ეს მოძღვრება იმ სახით, რა სახითაც თვით უტილიტარისტები გადმოგვცემენ. კრიტიკა ამ მოძღვრებისა შორს წაგვიყვანდა და არც ისე ადვილად ხელ-მოსაკიდია. თვით ადამიანის ბუნება, მისნი მისწრაფებანი მხარს უჭერენ და საფუძველს აძლევენ. ამ მოძღვრებაში ბევრი უსრულობაა; ბევრს ლოგიკურ ნახტომს შეხვდებით, ხან-და ხან უზნეობასაც წააწყდებით; მას ბევრის რამის ახსნა-განათება არ შეუძლიან და სხვა-და-სხვა. მაგრამ აბა რომელი მოძღვრებაა ჩვენს დროში უნაკლო და სრული?

უნდა გამოვტყდეთ, რომ თითქმის ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად უტილიტარისტია. მაგრამ იმ დროს, როდესაც ბევრი გაპატიოსნებულ, ამაღლებულ უტილიტარიზმს აღიარებს, მომეტებული ნაწილი-კი უზნეობისა და ეგოიზმის მქადაგებელ უტილიტარიზმის მოძღვრებას მისდევს. ამ უკანასკნელთათვის კუჭი და ფულია სათაყვანო კერპი. ეს თაყვანის ცემა იმათ პირუტყვობამდის აქვეითებს. აი ისეთი უზნეო უტილიტარიზმი და მისი ღორ-მუცელა მიმდევარნი არიან გასაკიცხნი და შესარცხვენნი და არა ისეთ მოძღვრების მიმდევარი, როგორსაც ჰქადაგობდა, მაგალითად, მილი.

ბედნიერების, სიამოვნების ძებნა თავისდათავად არ არის სამარცხვინო და ადამიანის დამამცირებელი. ბედნიერება ყველას სწყურიან, ყველა იმას ეტანება. ეს უტყუარია. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ არ დაბადებულა და არც დაიბადება ადამის ძე, რომ სიამოვნებას, ბედნიერებას გაურბოდეს და სიამოვნება, ბედნიერება არა სწყუროდეს. მაგრამ ის სულ სხვა საქმეა, თუ ვინ როგორ ისრულებს თავისს სურვილს და ვის როგორ ესმის მისი შინაარსი და აი აქ, ამ თავის სურვილის დაკმაყოფილების დროს, ზოგი პირუტყვად ხდება, ზოგი-კი ადამიანობას არა ჰღალატობს.... სირცხვილი პირველთ და პატივი და დიდება მეორეთ..

იპ. ვართაგავა

რეებს არ ეტყობოდათ. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა როლი. ამას გარდა, ისეთ უწესოებას, როგორც თეატრის დარბაზში იყო, ქუჩაშიაც მგირად შეხვდებით.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენის გამართვა ამ ბოლოს დროს ნამდვილ სენად გარდაიქცა ჩვენში. ვინ გინდა, რომ ამ საქმეს ხელს არა ჰკიდებდეს.

აქაო და ხელების მანჭვა-გრეხა და სახის დაჭყანვა-ქშენა-ღრიალი ადვილიაო, ღამის შექსპირის „ოტელო" და „ჰამლეტი" გადმოიტანონ ნემცების ბაღში წარმოსადგენად. სამწუხაროდ მოკლენად მიგვაჩნია, რომ ამ ბოლოს დროს ზოგიერთი არტისტობის სადერდელი ამლიათ და თეატრი რაღაც ბალაგანად გადაუქცევიათ. ამას მით უფრო გაბედვით ვამბობთ, რომ სახეში გვაქვს ის უმრავლესობა, რომელიც ამ ბოლოს დროს ნელ-ნელა ერკვევა თეატრს და ხელმისაწვდომ წარმოდგენებს ესწრება. აი ამიტომ არის საჭირო, რომ ამისთანა საქმეში მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულობა გამოიჩინონ სახალხო და იაფ-ფასიან წარმოდგენების გამმართველებმა.

## დამაკვირდი

ზოგთა სიხარული ტირილია, ზოგთა ტირილი სიხარული.

ლასურიძე

* * *

სიყვარული ვერა ჰხედავს ნაკლულევანებათ, მეგობრობას კი უყვარს იგი.

კარმენ სილვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად მექსიკაში გარდაიცვალა ერთი მწერალი, რომელსაც სახელი ჰქონდა გავარდნილი, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მეტად ძუნწი და კრიჟანგი კაცი ყოფილა. იმდენად ძუნწი ყოფილა ეს მწერალი, რომ არასოდეს ქაღალდს არა ყიდულობდა საგაზეთო წერილების და მოთხრობების დასაწერად. ამისთვის ან გაზეთების გვერდებით ან სახვევ ქაღალდით სარგებლობდა. გაზეთს, მაგალითად, ნაპირებს ჩამოაჭრიდა და იმაზედ შეუდგებოდა ხოლმე წერას. მემკვიდრეებმა იცოდნენ, რომ მწერალი მდიდარი კაცი იყო და გარდაცვალების მეორე დღესვე ანდერძის ქაღალდს დაუწყეს ძებნა, მაგრამ რამდენი არა ჩხრიკეს განსვენებულის სახლი და ნივთები, ეს ქაღალდი ვერსად ვერ იპოვნეს. ხოლო როდესაც გვამის გაბანას შეუდგნენ, გულზედ რაღაც დაწერილი შეამჩნიეს, დააკვირდნენ და ანდერძი-კი აღმოჩნდა. როგორც მემკვიდრეები ჰფიქრობენ, განსვენებულს იმიტომ დაუწერია ანდერძი გულზედ, რომ ქაღალდზედ ფულის დახარჯვა დაჰნანებია. რადგანაც საჭირო იყო ანდერძის სასამართლოში წარდგენა შესამოწმებლად, მემკვიდრეებმა, ბევრი რჩევისა და ლაპარაკის შემდეგ, თვით გვამი წააბრძანეს სასამართლოს დარბაზში, იქ ანდერძის პირი გადააღებინეს და შეამოწმებინეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაასაფლავეს განსვენებულის გვამი. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დასწრებია.

* * *

ამას წინად უპოვნიათ პარიჟში ერთი ძველი რეცეპტი. ეს რეცეპტი დაწერილია 1530 წელს პარიჟელის მკურნალის ფურნიეს მიერ. როგორც ამ რეცეპტიდგანა სჩანს, უწინდელ მკურნალებს უფრო ბევრი რამა სცოდნიათ, ვიდრე ეხლანდელებს. რეცეპტი დაწერილია ერთის ახალგაზდა მანდილოსანისათვის, რომელიც ძალიან ბევრსა ზრუნავდა თურმე თავისს სილამაზისათვის. აი რეცეპტის შინაარსიც: „აიღეთ 6 კვერცხი, ერთი გირვანქა ღვინო, ყვავილი, რვა ფორთოხალი, სამი უნცია ბელილა. ყველა ეს ერთად ჩაყარეთ ქვაბში და დიდ ხანს ადუღეთ. როდესაც გაცივდება, რამდენჯერმე ამ წამლით პირი დაიბანეთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სილამაზეს აღარ დაჰკარგავთ".

* * *

გერმანიის სამხედრო უწყებამ ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაქცია ძაღლებს. აზრადა აქვთ ძაღლები ომის დროს გამოიყენონ სასანიტარო საქმეებისათვის. განსაკუთრებული საზოგადოებაც დაარსდა გერმანიაში, რომელიც ძაღლების წვრთნას შეუდგა. ძაღლები ისე უნდა გაწვრთნან, რომ ომის შემდეგ ბრძოლის მოედანზედ ირბინონ, დაჭრილნი და დაკოდილნი იპოვნონ და შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე. ამისათვის საჭირო წამლები და სურსათი ძაღლებს კისერზედ ექმნებათ ჩამოკიდებული.

* * *

ყველამ კარგად უწყის რა ძლიერი ფლოტი ჰყავს ინგლისს. თითქმის ყველა ზღვაშია დაბანაკებული ინგლისის სამხედრო გემები. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისს შიგ შუაგულ აფრიკაში, ნიასსის ტბაზედაც გაუჩენია მთელი ესკადრა. ამ ჟამად ამ ტბაში ცხრა სამხედრო გემია ინგლისისა. ყველა გემს თავისი ჯარის-კაცები ჰყავს და საჭირო ზარბაზნები და საზოგადოდ საომარი იარაღი აქვს.

## წერილები გრ. ორბელიანისა.

№ 10. „ჩემო სვიმონ! ამ შენის სტარუხას შვილის ამბავი სრულებით არ შემიტყვია და არავის მოუხსენებია. ახლა შენა გთხოვ, რომ რაპორტით მომწერო მაგის ყოველივე გარემოება და ვაჟკაცობითი სიკუდილი და მე ეხლავე წარვადგენ პენსიაზედ. მანამდის ამ ხელად მივეც 15-ი მანათი, მეტი ვერ შევიძელ, და შენ რაც-კი შეგეძლოს ბევრი აღუთქვი ამ სტარუხასა, მართლად უთოოდ წარვადგენ, როცა მომივა შენი რაპორტი.

მთიდამ აქაც ის ამბავი მომდის, რაცა შენა, ესე იგი: ჰაი მოდიან, ანუ ემზადებიან. დღესაც მომივიდა, რომ პარტია მზად არის ჭურმუტში აქეთკენ წამოსასვლელად, და ამის გამო აქედამ წასულს კაცსა აღარ უშვებენო მთაში. გთხოვ რომ კიდევ და კიდევ გააფრთხილო ბელაქნელები. მშვიდობით.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი
29 სეკდემბ. 1851. ზაქათალით".

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი რუსული წიგნი: „Письма о Грузіи" (წერილები საქართველოს შესახებ), შედგენილი განსვენებულ ლუკა ს. ისარლიშვილის მიერ, ხოლო გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. ამ წერილებში ლ. ს. ისარლიშვილი მეტად საყურადღებო საგნებს შეეხება. მოგვყავს აქვე სათაური ზოგიერთის წერილისა: ქრისტიანობის სიძველენი ოსმალეთის საქართველოში; ერზერუმის აღება რუსების მიერ; სწავლა-განათლების საქმის მიმდინარეობის მიმოხილვა; საქართველოს გუბერნიის გუბერნატორი გენერალი სოტნიკოვი; საქართველოს მთავარმართებელთა ცხოვრებიდგან; ახალციხის აღება რუსების მიერ; ოსმალეთის საქართველო; მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოსი 1801 წლიდგან 1831 წლამდე; ებრაელნი ქართლ-კახეთსა და იმერეთში; ბატონ-ყმობა იმერეთსა და გურიაში; შენიშვნები აფხაზეთის შესახებ; სვანეთი და სხვა. წიგნი დიდია, შეიცავს 418 გვერდს და ღირს 80 კაპეიკი. თავში წიგნს ჩართული აქვს თვით ისარლიშვილის სურათი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 სექტემბერი

**პარიჟი.** გალლიფემ ცირკულიარით აუკრძალა აფიცრებს გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიაში მოგზაურობის დროს დაესწრონ ხოლმე იქ აღლუმებს მთავრობის ნება-დაურთველად. ამავე დროს უცხო სახელმწიფოების არც ერთს აფიცრებს ნება-დაურთველად არ შეეძლება საფრანგეთის ჯარის აღლუმს დაესწროს.

**პარიჟი.** ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა პიუ ბაროს, რომელიც პოლიციის პრეფექტურის საიდუმლო საქმეთა ნაწილის გამგეა. პიუ ბარო უვნებელი გადარჩა. დამნაშავემ არაფრის გულისთვის არა სთქვა, რა მიზეზით ესროლა ბაროს რევოლვერი. მგონი ჭკუა-შეშლილი კაცია.

შერერ-კესტნერი 2 საათზედ დაასაფლავეს. შარრონის ქუჩაში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მრავალ გვირგვინებს შორის იყო ერთი, ვარდებისაგან გაკეთებული, ალფრედ დრეიფუსისა. დასაფლავებას, სხვათა შორის, დაესწრნენ: ფალიერი, ბერანჟე, რანკი, ბრისსონი, მატიე დრეიფუსი, პრესსანსე, პიკარი. ბრბო მოწიწებით დაუხვდა სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც აღმოსავლეთ სადგურისაკენ გაემართა, საიდგანაც გვამს ტანნში წაასვენებენ.

**ბელგრადი.** კნეჟევიჩსა და რანკო ტაისიჩს სახელმწიფოს ღალატისათვის დახვრეტა გადაუწყვიტეს. ნიკოლიჩს, კოვაჩევიჩს, დიმიჩს, ურაჩევიჩს, კრესოვიჩს, დჟურიჩს, მილენკოვიჩს, ალავანჩიჩს, ჟივკოვიჩს, ნოვაკოვიჩს, პავიჩევიჩს, პროტიჩს ოცი წლით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯეს. შემდეგ, პაშიჩს, ანდჟელიჩს, იოვანოვიჩს, მილორადოვიჩს, ტოდოროვიჩს, ორსავე სტეფანოვიჩს, რაიკოვიჩს—ხუთის წლით დაპატიმრება, როგორც მოღალატეთა მომხრეებს, რომელთაც ღალატი უწყოდნენ და არ გაამხილეს. ტაუშანოვიჩს ცხრა წლით დაპატიმრება მიუსაჯეს მისის უმაღლესობის შეურაცხებისათვის. გაამართლეს: აზა სტანოევიჩი, იოვანოვიჩი, სტრიკოვიჩი, მარინკოვიჩი, სავიჩი. კნეჟევიჩს ნაშუადღევს 4 საათზედ დახვრეტავენ.

**ბელგრადი.** მეფემ აპატია სასჯელი პაშიჩს. პაშიჩმა დეპეშით გულმხურვალე მადლობა გარდაუხადა მეფეს.

14 სექტემბერი

**მელიტოპოლი.** მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ გადადებულ იქმნა 109,000 მანეთი.

**მალმე.** დღეს, ნაშუადღევს იმპერატორი სკაბერონიდგან მალმეში წავიდა, სადაც გულითადად გამოეთხოვა შვეციის მემკვიდრე პრინცს.

**პარიჟი.** „შაბროლის სიმაგრეზედ" თავს-დასხმისათვის მომზადებული მასალა სენატში იქმნა გადაზიდული. მთელი ეს მასალა საქმის განხილვის დროს უმაღლეს სასამართლოს წარედგინება. კომისია განაგრძობს dossier-ის შესწავლას.

ვალესმა უკანასკნელად ჩამოართვა ჩვენება 27 კაცს, რომელთაც ბრალდებათ უწესოების ჩადენა წმ. იოსების ეკკლესიაში. თხუთმეტამდე კაცი განთავისუფლებული იქმნება, რადგანაც იმათ წინაამდეგად არავითარი სამუთი არ მოიპოვება.

**პარიჟი.** დღეს დაასაფლავეს შერერ-კესტნერის გვამი. რკინის გზის სადგურზედ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. როდესაც ბრისსონმა დაიწყო ლაპარაკი, ხალხი ვაშას ძახილით მიეგება. ბრისსონმა სიამოვნებით მოიხსენია შერერ კესტნერის მოღვაწეობა —ამ მართლ-მსაჯულებისათვის მეომარისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საპლებისციტო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა. რანკმა განაცხადა, რომ შერერის წყალობით განსწორებულ იქმნა დიდი შეცდომა და აღდგენილ იქმნა საფრანგეთის რეპუტაციაო. ცერემონიის დასრულების შემდეგ დამსწრეთ ავაცია გაუმართეს ბრისონს, შემოეხვივნენ იმის ეტლს და გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას"-ო! ბრისონმა სთქვა: „დიაღ, მეგობრებო, უნდა გვიყვარდეს რესპუბლიკა, მაგრამ ამასთან უნდა კიდევაც დავიცვათ იგი"-ო. პოლკოვნიკ პიკარსაც მიეგება ხალხი ყვირილით: „გაუმარჯოს პიკარს! გაუმარჯოს რესპუბლიკას"-ო!

**ლონდონი.** „Times" ს სიმლიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ ის ხმა, ვითომ ავღანის ემირი გარდაცვლილიყოს და ტახტისა და მემკვიდრეობის გამო ომი ატეხილიყოს, ყოველ საფუძველს მოკლებულიაო.

**კიევი.** გახმაჩისა და ბაბრიკის სადგურებს შუა, კიევ-ვორონეჟის რკინის გზაზედ, ვაჭარს ფელდმანს, ძილის დროს, ღამით მე-2 კლასის ვაგონში, მოჰპარეს 22,000 მან. ფულად და სარგებლიან ქაღალდებად. ქურდები ვერ აღმოუჩენიათ.

**პარიჟი.** მინისტრთა საპჭომ გარდასწყვიტა: დანიშნულ იქმნან გენერალი დელანი მთავარ შტაბის უფროსად და ადმირალი მენარი—ჩრდილოეთის ზღვის ესკადრის უფროსად.

**ვენა.** დღეს ბოლგარიის მთავარი მიღებულ იქმნა განსაკუთრებულის პატივისცემით და გაემგზავრა გოფბურგში, სადაც ჩამოხდა, როგორც იმპერატორის სტუმარი. მთავარი ინახულა იმპერატორმა.

**ვენა.** მოლაპარაკება თავ. ლიხენშტეინთან საბოლოოდ შესწყვიტეს. ლიხენშტეინი შტირიაში მიდის. იმპერატორმა ინახულა ხლუმეცკი. ამ ჟამად ჰფიქრობენ, რომ სამინისტრო ხლუმეცკის მეთაურობით შესდგებაო.

**ვენა.** ვენის გაზეთები მსჯავრსა სდებენ ბელგრადის სასამართლოს განაჩენს და მწუხარებას აცხადებენ ამ განაჩენის წრე-გარდასულ სისასტიკის გამო.

15 სექტემბერი

**პარიჟი.** უზენაესი სასამართლო ჯერ-ჯერობით საქმეს საიდუმლოდ იძიებს.

**ბელგრადი.** ტაუშანოვიჩი გაგზავნილ იქმნა პოჟარევაცში, სადაც უნდა გარდაიხადოს ცხრა წლით საპატიმროში ყოფნის ვადა. ყველანი, რომელთაც ოცის წლით დაპატიმრება აქვთ გარდაწყვეტილი, პატიმრის ტანისამოსითა და ბორკილებით ბელგრადის ციხეში იქმნენ გადაყვანილნი.

პაშიჩს ხვალ ნიშში ორივე მეფე ინახულებს.

**ვენა.** ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი გრაფ გოლუხოვსკისთან იყო ხანგრძლივ სადარბაზოდ.

**კალკუტა.** მიწის ძვრის დროს დარჯილინგში 100 სული დაიღუპა. ქალაქი ფული წალეკილია; 200 კაცი დაირჩო.

## წერილი რედაქციის მიმართ

როგორც მე და ჩემდამო რწმუნებული სკოლის მოწაფეები, ისე ალაგირის ქართველი საზოგადოება და ადგილობრივი მღვდელი მამა გიორგი კარაევი უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ კავკავის გიმნაზიის მასწავლებელს ბ-ნ ტიტე ბენედიქტეს ძე კახიძეს, რომელმაც არ დაიზარა და კეთილ ინება ნახვა ჩემდამო რწმუნებულ მის მიერ დაარსებულის ალაგირის სამრევლო სკოლისა გასულ ივნისის თვეში, და რომელმაც ამ ღარიბს სკოლას ექვსი ქართული წიგნი შემოსწირა. ძლიერ კარგი იქნება, სხვებიც მიჰბაძავდნენ ბ-ნ კახიძის მაგალითს და რითაც შეიძლება დახმარებას აღმოუჩენდნენ ამ ღარიბს და განმარტოვებულს უცხო ქვეყანაში ქართულ სკოლას.

ჩვენი ადრესი: Алагиръ. Въ церковно-приходскую грузинскую школу.

მასწავლებელი ალაგირის სამრევლო სკოლისა პავლე ლომთათიძე

# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

(100—150—1)

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ფასი 50 კაპ.



სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.